საქართველო
ადგილობრივი თვითმმართველობა
აბაშის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**ბ10. 102306010**
თარიღი:**01/03/2023**

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად საჯარო კონკურსის გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს 61-მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 35-ე მუხლის და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის #204 დადგენილების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადდეს კონკურსი (ღია და შიდა);

2. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა საკონკურსო კომისიამ უზრუნველყოს საჯარო კონკურსის გამოცხადება აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დანართი #1-ის შესაბამისად, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის მეშვეობით (hr.gov.ge);

3. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ამ ბრძანების აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე (abasha.gov.ge) გამოქვეყნება;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოცემიდან ერთი თვის ვადაში, სენაკის რაიონულ სასამართლოში (სენაკი, რუსთაველის #247); 5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

გიგა გაბელაია

აბაშის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, აბაშა, 0200, ტ.დარასელიას ქ. N1, ტელ: (+412) 29 18 35,
ელ.ფოსტა: ABASHISMERIA@GMAIL.COM

აბაშის მუნიციპალიტეტის მერია

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის და ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის #204 დადგენილების შესაბამისად აბაშის მუნიციპალიტეტის მერია საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით აცხადებს ღია და შიდა კონკურსს 2023 წლის 2 მარტს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ვაკანსიებზე განცხადების მიღების ბოლო ვადაა 6 მარტის 24:00 სთ-მდე.

კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლევა საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, ფლობს ქართულ ენას და აკმაყოფილებს ვაკანტური თანამდებობისთვის დაწესებულ საკონკურსო-საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა განცხადება უნდა წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით;
2. კანდიდატი ვალდებულია დამსაქმებელს მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია საკონკურსო მოთხოვნებთან დაკავშირებით;
3. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge)- ,,ჩემი რეზიუმე“-ს ,,დამატებითი დოკუმენტაციის“ ბლოკში კანდიდატმა უნდა ატვირთოს:

   ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

   ბ) კონკრეტულ ვაკანტურ თანამდებობაზე დაწესებული საკონკურსო-საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

   გ) ღია კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელიც აკმაყოფილებს ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლით დადგენილ ძირითად მოთხოვნებს;

   გ) შიდა კონკურსი ცხადდება პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჯარო დაწესებულების ან/და დაწესებულების სისტემის მასშტაბით და მასში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს იქ დასაქმებულ მოხელეს.

   - აუცილებელია კანდიდატმა წარმოადგინოს ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ კანდიდატი არის მოქმედი პროფესიული საჯარო მოხელის სტატუსის მქონე პირი, ან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომელიც არანაკლებ 1 წელი მუშაობს საჯარო სამსახურის სისტემაში.
4. საბუთები წარდგენილ უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე. (უცხოენოვანი საბუთის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის წარდგენა) საბუთების არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, კანდიდატი კონკურსის მე-2 ეტაპზე არ დაიშვება.
5. კონკურსის გასაუბრების ეტაპზე მონაწილეებმა უნდა იქონიონ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი.
6. კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:

   ა) პირველი ეტაპი მოიცავს საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის მიერ კანდიდატთა განცხადებების (აპლიკაციების) გადარჩევას; პირველი ეტაპის შედეგების შესახებ ეცნობებათ კანდიდატებს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის www.hr.gov.ge -ს მეშვეობით.

   ბ) მე-2 ეტაპი ტარდება გასაუბრების ფორმით. შერჩეულ კანდიდატთან (კანდიდატებთან) გასაუბრებას ატარებს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა საკონკურსო კომისია.

   დ) გასაუბრება ჩატარდება აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში მისამართზე: ტროფი დარასელიას ქ #1 (მესამე სართული).

7. შეკითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: დიმიტრი ცანავა - 599855804;